



თარგმანი

სსფ-ს მისიამ საქართველოში ვიზიტი დაასრულა

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

მისიის დასასრულს გამოქვეყნებული პრესრელიზი წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიის წევრთა განაცხადს ვიზიტის მსვლელობისას მათი მიგნებების შესახებ. ეს განაცხადი ეკუთვნის მისიის წევრებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს აზრს. ამ მისიის მიგნებები სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოზე არ განიხილება.

- საქართველოს ეკონომიკა სწრაფ ზრდას განაგრძობს, თუმცა ზრდის ტემპი ზომიერდება და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საშუალოვადიან ტრენდს უახლოვდება. ინფლაცია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სამიზნე მაჩვენებელს ალემტება, თუმცა კლებადია. სებ-მა ფრთხილი მონეტარული პოლიტიკა უნდა შეინარჩუნოს და პოლიტიკის გამკაცრებისთვის იყოს მზად, თუ ინფლაცია მოსალოდინს გადააჭარბებს.
- ფისკალური და საგარეო ბუფერების შენარჩუნება, რეფორმების დაჩქარება სახელმწიფო საწარმოების და ცენტრალური ბანკის მმართველობის მიმართულებით წაადგება ეკონომიკის ზრდის ტემპის შენარჩუნებას და გამძლეობის მატებას არსებული გეოპოლიტიკური გაურკვევლობის ფონზე.

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: ამა წლის 10-16 დეკემბერს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ს) მისიამ ბატონი ალექსანდრო ჰაიდენბერგის ხელმძღვანელობით თბილისში შეხვედრები გამართა ქვეყნის ბოლოდროინდელი ეკონომიკური და ფინანსური მოვლენების და რეფორმების პრიორიტეტების მიღწევის პროგრესის შესაფასებლად. ვიზიტის დასასრულს ბატონმა ჰაიდენბერგმა განაცხადა შემდეგი:

“საქართველო მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს ინარჩუნებს. 2025 წელს რეალური მშპ-ს 7.3 პროცენტთან ზრდას ველით. ზრდის ეს ტემპი ოდნავ ჩამოუვარდება 2024-ის მაჩვენებელს, ხოლო ისტორიულ ჭრილში კვლავ მაღალია. ეკონომიკურ საქმიანობაში წამყვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების, ტრანსპორტის და განათლების სექტორები, რომელთა ზრდა პანდემიის შემდგომ და უკრაინაში ომის დაწყების პერიოდიდან აჩქარდა. სწრაფმა ზრდამ უმუშევრობის დონე ისტორიულად დაბალ 13.3%-მდე შეამცირა, თუმცა, უმუშევრობა სტრუქტურულად მაღალი რჩება.

ინფლაცია 2025 წელს აჩქარდა და ნოემბერში წინა წელთან შედარებით 4.8%-ს მიაღწია, რაც საქართველოს ეროვნულ ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს აღემატება. ინფლაციის ზრდა ძირითადად ადგილობრივი საკვების ფასის მატებამ განაპირობა, რაც გარდამავალი ფაქტორია და მის შემცირებას ველოდებით. საბაზო ინფლაცია სამიზნეზე დაბალია, რაც მიუთითებს, რომ ფასების საერთო დონეზე ზეწოლა არ არსებობს. სებ-მა სათანადოდ შეინარჩუნა ფრთხილი მონეტარული პოლიტიკა და პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად 8%-ზე დატოვა. მიუხედავად ამისა, თუ ინფლაცია მოლოდინს გადააჭარბებს, სებ-ი პოლიტიკის გამკაცრებისთვის მზად უნდა იყოს.

ქვეყნის მთლიანი საერთაშორისო სავალუტო რეზერვები მნიშვნელოვნად გაიზარდა და ნოემბერში სარეკორდო 5.8 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია (წინა წლის 4.1 მილიარდი აშშ დოლარიდან), რაც სავალუტო ფონდის რეზერვების ადეკვატურობის საზომის 100%-ს შეადგენს. გაუმჯობესება დაკავშირებულია დეპოზიტების დოლარიზაციის შემცირებასთან და ძლიერ საერთაშორისო სავალუტო შემოდიწებებთან: მომსახურების ექსპორტიდან და ფულადი გზავნილებიდან, რამაც სებ-ს ვალუტის შესყიდვების საშუალება მისცა. რეზერვების ზრდაში პოზიტიური როლი ითამაშა ოქროს ფასების მატებამ. ბაზარზე ხელშეწყობი პირობების არსებობის შემთხვევაში რეზერვების შემდგომი დაგროვებაც სასურველია.

ფისკალური პოლიტიკა კვლავაც მოწესრიგებულია. 2025 წელს ბიუჯეტის დეფიციტი, დაგეგმილ მშპ-ის 2.5%-ზე ნაკლები იქნება, რაც განპირობებულია ძლიერი შემოსავლებით და კაპიტალური ხარჯების გეგმიდან ჩამორჩენით. 2026 წლის ბიუჯეტი გონივრულად მიზნად ისახავს მშპ-ის 2.5%-იან დეფიციტს და ითვალისწინებს სახელმწიფო კაპიტალური და სოციალური ხარჯების ზრდას. 2026 წლის აპრილში 500 მილიონი აშშ დოლარიანი ევროზღვრის უპრობლემოდ გადაფინანსებას ველით, არსებულ საბაზრო პირობებში. სამომავლოდ, შესაძლებელია სახელმწიფოს შემოსავლის ზრდა საგადასახადო ბაზის გაფართოებით და საგადასახადო დანაკარგების შემცირებით, რაც სახელმწიფო ინვესტიციების უკეთესი მართვის და ხარჯების ეფექტურობის დახვეწის პარალელურად, ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურისა და განათლების მიმართულებით საჭირო ხარჯების დაფინანსებას.

საშუალოვადიან პერიოდში, ეკონომიკის ზრდა თავის პოტენციურ, 5%-იან, ზრდის ტემპს მიუახლოვდება. მთავარი გაურკვევლობას წარმოშობს უკრაინაში ომის დასრულების ვითარება, რამაც შეიძლება შეატრიალოს მიგრაციის, ფინანსური შემოდიწებების და სატრანზიტო ვაჭრობის ნაკადების ნაწილი, მაგრამ ასევე შექმნას სტაბილურობა რეგიონში, რაც გრძელვადიანი ინვესტიციების წინაპირობაა. ამასთან, საქართველოს ევროკავშირთან დამატებულმა ურთიერთობამ შესაძლოა ინვესტორის განწყობა დაამძიმოს და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეამციროს. არაბთა გაერთიანებული საემიროების ინვესტორის მიერ განცხადებული 6.5 მილიარდი აშშ დოლარიანი უძრავი ქონების პროექტი, გეგმის მიხედვით განხორციელების შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდის წამახალისებელ და სამუშაო ადგილების შექმნის დადებით შესაძლებლობას ქმნის. მაღალი გაურკვევლობის გეოპოლიტიკურ გარემოში ხელისუფლებებმა უნდა შეინარჩუნონ ფისკალური და საგარეო ბუფერები და განახორციელონ სტრუქტურული რეფორმები, რომლებიც გააუმჯობესებს მმართველობას და შექმნის მეტ სამუშაო ადგილს.

მისასალმებელია ხელისუფლების განზრახვა განახორციელოს სახელმწიფო საწარმოების ყოვლისმომცველი რეფორმა. ფისკალური რისკების მართვის და სახელმწიფო საწარმოების ფინანსურ ზედამხედველობის მიმართულებით უკვე მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეულია. რეფორმის შემდგომი ეტაპი უნდა მიემართოს სახელმწიფო საწარმოებში კორპორატიული მმართველობის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას, რისი

საბოლოო მიზანიც არის სახელმწიფოს, როგორც სახელმწიფო საწარმოს აქციონერის, მარეგულირებელის და სექტორის პოლიტიკის განმსაზღვრელის ფუნქციების გამოქვეყნა.

ეროვნული ბანკის ძლიერი მმართველობა და დამოუკიდებლობა გადამწყვეტია ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ მისასაღმებელია ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც სებ-იდან მთავრობისთვის დისკრეციულ ფინანსურ ტრანსფერს გამორიცხავს. მისიამ გაიმეორა წინა რეკომენდაციები: უზრუნველყოფილ იქნას არაადმსრულებელ წევრთა უმრავლესობა სებ-ის მმართველ საბჭოში; დაიხვეწოს სებ-ის საბჭოს წევრთა კვალიფიკაციის მოთხოვნები და სებ-ი გადავიდეს გადაწყვეტილებების კოლეგიალურად მიღების მოდელზე. თებერვალში დაგეგმილია სსფ-ს ტექნიკური მისიის ვიზიტი, რომელიც ხელისუფლებას ამ ამოცანის შესრულებაში დაეხმარება.

საფინანსო სექტორი ჯანსაღია, ბანკების კაპიტალიზაცია, მომგებიანობა, ლიკვიდურობა და აქტივების ხარისხი მაღალია. კვლავაც საჭიროა სიფხიზლე, რომ უცხოური ვალუტის არაპეჯირებული სესხების დიდმა წილმა, სამომხმარებლო სესხების სწრაფმა ზრდამ, ბიზნესების მიერ სავალუტო ფასიანი ქაღალდების გამოცემამ და უძრავი ქონების დეველოპერების სასესხო პროგრამებმა საფრთხე არ შექმნან. თუმცა, ამ ეტაპზე ასეთი რისკები სისტემური არაა და მუდმივ ზედმიწევნით ზედამხედველობას საჭიროებს. მისასაღმებელია გადახდის მომსახურების პროვაიდერებს შორის კონკურენციის ზრდის წახალისება.

გვსურს მაღლობა გადავუხადოთ ხელისუფლებას და ყველა სხვა პარტნიორს გულითადი მასპინძლობისთვის და პროდუქტიული დისკუსიებისთვის. სსფ-ს მისია შეხვდა სებ-ის პრეზიდენტს ქალბატონ ნათია თურნავას, ფინანსთა მინისტრს ბატონ ლაშა ხუციშვილს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ქალბატონ მარიამ ქვრივიშვილს და სხვა მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და განვითარების პარტნიორების წარმომადგენლებს. 2026 წლის IV მუხლის კონსულტაცია დაგეგმილია 2026 წლის მარტში.“